ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №376938

ნომერი: AR181371

თარიღი : 19.09.2012

გაცემის თარიღი : 03.10.2012

გაცნობის თარიღი : 04.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მახათას მთა , ნაკვეთი 11/011 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანატოლი ქავთარაძე პ/ნ 01024055914
- თბილისი საბურთალოს ქ. N 38 ბ. 24

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ჩუღურეთი, მახათას მთა, ნაკვეთი N11/011-ში, შპს "ფირმა ჰორიზონტი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობის მშენებლობის ნებართვას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელებისშესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.16.08.011.011; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი) ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ჩუღურეთი, მახათას მთა, ნაკვეთი N11/011-ში, შპს "ფირმა ჰორიზონტი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობის მშენებლობის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge